ცნობის ფურცელი

№ 1731 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 სამშაბათი, 19 თებერვალი № 1731

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

მიიღება ხელის-მოწერა 1902 წლისათვის

„მოამბე-ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანი დამატებით

ყოველ თვიური ჟურნალი „მოამბე“ (წელიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით	10 მ.	1 წლით	13 მ.
6 თვით	6 „	6 თვით	7 „
3 „	3 „	3 „	5 „

ყოველ დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით	6 მ.	1 წლით	9 მ.
6 თვით	4 „	6 თვით	7 „
1 „	75 კ.	1 „	90 „

ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ სურათებიანი დამატებით უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს ერთი მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი. წლიური ფასის განაწილება სამივე გამოცემაზე: პირველად—6 მან. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ, 1-ლ აგვისტომდე—2 მ.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ღირება.

რედაქცია და კონტორა იმყოფება ვანქის დიდ ქ., ტელეფონი № 372.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ „Цнобисъ-Пурцели.“

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საქმოს: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

ექიმი

ვახტანგ ღამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—11-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჩიჩინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ვ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 8—10 საათამდე.

ვ. ვ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ვ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

სტ. ალ. ვოინო—ხირურგია, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ვ. მაღალაშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათამდე.

ვ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—8 საათამდე.

ვ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274. (წლ.)

ქართული თეატრი

საყველიერო რეპერტუარი

პარასკევს, 22 თებერვალს, 1902 წ.

I

ორი გმირი

ისტორიული დრამა გურულების ცხოვრებიდან.

II

საღამოთი ერთი ცხვირი ხვირია

ვოდევილი 1 მოქ. სუნდუკიანცისა.

შაბათს, 23 თებერვალს.

ვალერიან გუნიას საბენეფისოდ

I

ძალა აღმართსა ხნავს

კომედია 4 მოქ. გუნიას-მიერ გადმოკეთებული სოლოვიოვიდან.

II

ანდერძით

დრამატიული სურათი 1 მოქ.

კვირას, 24 თებერვალს.

უკანასკნელი წარმოდგენა

I

ფული და ხარისხი

კომედია 3 მოქ. აზიანისა.

II

ორღანონი და ლეკვი

ფარსი 3 მოქ. გადმოკ. დ. ერისთავის-მერ.

დასაწყისი 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი ვ. გუნია.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ გადასწყვიტა, ქართულის სცენის არტისტის **ვ. ა. აბაშიძის 25 წლის სასცენო მოღვაწეობა** იდღესასწაულოს ამ წლის **10 მარტს.** გამგეობა, აცხადებს რა ამას საყოველთაოდ, სთხოვს იმათ, ვისაც ჰსურთ მონაწილეობა მიიღონ ამ დღესასწაულში, მიჰმართონ ხსენებულ გამგეობას და წინდაწინვე აცნობონ თავიანთი სურვილი.

თავად-აზნაურთა ქარვასლა, დრამატიულ საზოგადოების კანტორა. (3—3)

ქალთა ამხანაგობის სამკერვალოძი მიიღებენ ყოველ გვარ

საკერავს:

კაბებს, წამოსასხამებს საცვლებს და საცვლებზედ ნიშნებს, (მეტკებს).

ბარონის ქუჩა, № 12 (10—10)

ქ. ბათუმში

იყიდება გაზეთი „ცნობის ფურცელი“

სპ. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში, შერემეტიევის ქუჩაზე, ნურიის ბაზარში, სასწორის პირდაპირ. (0—17)

ბრაზიანი უძლურება

როდესაც ჩვენებურ „რეაქციონერებზე“ პირველად ხმა ამოვიღეთ, წინ-და-წინვე ვიცოდით, საქმე ვისთან გვექნებოდა, ძველი წესის მცველნი რა გვარი მოპირდაპირენი იქნებოდნენ. ხოლო ამასთან ერთი რამ დაგვავიწყდა, როგორღაც უყურადღებოდ დავტოვეთ. დაგვავიწყდა, რომ ღონე-მიხდილი „რეაქცია“, უილაჯობისა და უძლურებისა გამო, მეტად ანჩხლი და ბრაზიანია, რომ აზრიანი კამათობის უნარი არ აქვს და რომ მთელი მისი სიდინჯე და სიდიადე გააფთრებულ და ლაგამ-აშვებულ თავ-მოყვარეობაზეა დამყარებული.

ყველა ეს არ უნდა დაგვვიწყებოდა, რადგან ქართველ მკითხველის მდგომარეობაც უნდა მიგვეღო მხედველობაში, იმ მკითხველისა, რომელიც, წინაამდეგ თავის სურვილისა, გაშმაგებულ მრისხანების და სიბოროტის უბედურ მოწამედ ჰხდება, როდესაც ჩვენს მწერლობაში პოლემიკა ასტყდება ხოლმე.

დღეის ამას იქით, ამ მხრივ, უფრო ფრთხილად ვიქნებით. ვეცდებით **აზრის** და **პრინციპის** ფარგალს არ გადავცილდეთ. უყურადღებოდ დავტოვებთ ჩვენის მოპირდაპირეების იმ წერილებს, რომელნიც „მე“-თი იწყება და „მე“-თი თავდება და რომელთაც ერთად-ერთი განზრახვა აქვთ, მოკამათეს პირადი შეურაცხყოფა მიაყენონ და საზოგადოების თვალში დაამცირონ.

აი დღესაც ჩვენს წინ უშველებელი, აჭრელებული ჯერ კიდევ დაუთავებელი წერილია ბ. პლებსისა. ჩვენ ნათლათ ვხედავთ ავტორს, რომელიც სიამოვნების ნიშნად ხელებს იფშვნეტს და გამარჯვებულ ადამიანის კმაყოფილებით თავის ტოლ-მეგობართ შორის ხარხარებს და მღელვარებს. ჩვენ წინ სდგას თავ-მომწონე ადამიანი, ამღვრეულ პატარა გრძნობით გატაცებული, საეჭვო გულის-წადილით აღფრთოვანებული. ჩვენ ვხედავთ ადამიანს, რომელიც არ ჰხედავს თავის დამცირებას და ამაყობს უვიცობით და უმეცრებით. და ყველაზე სავალალო ის არის, რომ ამ ადამიანს არც ის ესმის, რას სჩადის, არც ის, რომ საჯაროდ თავს ირცხვენს.

როგორც ეხსომება მკითხველს, ჩვენ, ე. ი. ბ. პლებსს და მე, ორგანებრივ თეორიაზედ გვქონდა კამათი. ბ. პლებსი ამტკიცებდა, საზოგადოება სხეულიაო. მე ვამბობდი, საზოგადოება სხეული არ არის-მეთქი. ჩემი საბუთების წინაამდეგ რომ ველარა მოახერხა, ბ. პლებსი იმის ძიებას კი არ შეუდგა, **მართალია** თუ არა ჩვენი აზრი, არამედ იმისას, **საიდან,** რა წყაროდან გვაქვს ამოღებული ჩვენი ცნობები. ამ გმირულ საქციელში ბ. პლებსისათვის, როგორც თვითონ გვარწმუნებს, ბ. ახალ-მოსულს თავისი დახმარება აღმოუჩენია, იმ ახალ-მოსულს, რომელსაც გაჰკვირვებია, როგორ გაკადნიერდა და როგორა სთქვა ჯორჯაძემ, ძველი წესი მკვდარიაო. ბ. პლებსს, ახალ-მოსულის დახმარებით, გამოუნახავს, რომ მე ბროკჰაუზის ლექსიკონით ვხელმძღვანელობდი და ცნობები ამ ლექსიკონიდან ამომიკრეფია. ამ გარემოებამ ისე გულუბრყვილოდ გაახარა ბ. პლებსი, რომ მას საკამათო საგანიც დაავიწყდა, დაავიწყდა ისიც, რომ თვით ლექსიკონში ამოკითხული ცნობებიც კი ძირიან-ფესვიანად არღვევენ იმას, რასაც ჩვენი ავტორი ასე თავ-გამოდებით იცავდა წინა წერილებში. ბ. პლებსს ერთი რამ ახსოვდა, ერთი რამ აგონდებოდა და ეზმანებოდა—ჩემი შერცხვენა იმის გამოისობით, რომ ის საბუთები, რომლითაც დამარცხდა ბ. პლებსი, ლექსიკონიდან ამოკრეფილი ცნობები ყოფილა.

ხოლო ბ. პლებსს თავის გაუზომელ სიხარულში ერთი რამ დაავიწყდა, ერთი რამ არ მიუღია მხედველობაში, რომ მე სასირცხვილოდ არ მიმაჩნია წიგნების (თუნდაც ლექსიკონების) წაკითხვა, ამ წიგნებიდან საჭირო ცნობების ამოკრეფა და ამ წიგნებით ხელ-მძღვანელობა. მთელი ჩვენი ცოდნა მწიგნობრული ხასიათისაა. ბროკჰაუზის ლექსიკონისთანა წიგნებიც იმ აზრით არის შედგენილი, რომ იქ შეგროვილ ცნობებით საჯაროდ სარგებლობა შეიძლებოდეს. ამ ლექსიკონში მოთავსებულია სხვა-და-სხვა სამეცნიერო კითხვების შესახებ ცალკე ბიბლიოგრაფიული ხასიათის წერილები. როცა თქვენ გაინტერესებთ რომელიმე ამგვარი კითხვა, თქვენ ამ წერილებს გადაიკითხავთ, გაიხსენებთ, რაც წაგიკითხავთ აღძრულ კითხვის შესახებ. ამგვარად შრომას იადვილებთ, ხელმეორედ არ გჭირდებათ ვრცელი გამოკვლევების გადაკითხვა. სამეცნიერო ლექსიკონების მნიშვნელობა მწერლისათვის განუზომელია.

მხოლოდ, როდესაც თქვენ ხელმძღვანელობთ ამგვარის წყაროთი, თქვენის წერილების სხოლიოში იმ წიგნების აღნუსხვის უფლება გაქვთ, რომელნიც ნამდვილად წაგიკითხავთ. თვით წერილის ტექსტში კი თქვენ სრულიად თავისუფლათ შეგიძლიანთ ისარგებლოთ ნასესხი მასალით, რადგან ეს მასალა, ეს ლექსიკონიდან ამოკითხული წერილი თქვენ მიერ წაკითხულ და თქვენ წერილის სხოლიოში მოყვანილ ავტორებზეა დამყარებული.

ჩვენ თავს არ დავიმდაბლებთ და ბ. პლებსს რწმუნებას არ დავუწყებთ, რომ ჩვენი წერილის სხოლიოში მხოლოდ იმ წიგნების ნუსხაა,*) რომელიც წინად წაგვიკითხავს, არც იმის რწმუნებას დავუწყებთ, რომ ლექსიკონში მოთავსებულ წერილის დამწერს ზემოხსენებულ ავტორებისაგან ხშირად სიტყვა-სიტყვით მოჰყავს სხვა-და-სხვა ადგილები, და რომ სამეცნიერო სიმართლის დაცვისათვის ამ ადგილების გამეორება სასირცხვილოდ არავის არ უნდა ჩაეთვალოს. არა, ჩვენ მეტი პატივი გვაქვს ჩვენი თავისა და ყველა ამის დამტკიცებას და დასაბუთებას არ გამოუდგებით, მით უმეტეს, რომ ამგვარი ჩემი საქციელი საკამათო საგანს მაინც არ გამოარკვევდა და ბ. პლებსს არაფერში არ გამოადგებოდა, რადგან ამ საარაკო ავტორს აზრიან, პრინციპიალურ ლაპარაკის თავი არ აქვს.**)

დიახ, ჩვენ გვაქვს საქმე უძლურებასთან და უძლურება უმეტეს შემთხვევაში ბრაზიანია. ჩვენ ვწყვეტთ კამათს ბ. პლებსთან და იმის მზგავს მწერლებთან, რადგან მათთვის მწერლობა სალაყბო მოედანია და არა აზრთა და კეთილ-სინიდისიერ გრძნობათა სამეფო, რადგან დაბალ გრძნობათა და პირად განზრახვათა გამეფება მწერლობაში ამ მწერლობის გათახსირებად მიგვაჩნია.

ძველ წესს და მის მცველებს კვლავაც ვადევნებთ თვალ-ყურს,***) ხოლო ჩვენს ყურადღებას შევაჩერებთ მარტო იმაზე, რაშიაც **აზრს** და **გულ-წრფელობას** დავინახავთ. აზრის სხვა-და-სხვაობა პატივსადებია, ხოლო ამ სხვა-და-სხვაობას გულ-ახდილობა და გულ-წრფელობა უნდა თან-ზდევდეს. წინაამდეგ შემთხვევაში, მწერლობა აყროლებულ გუბედ გადაიქცევა, სადაც ყოველ-გვარი სულის და ხორცის ავადმყოფობა დაბუდდება.

არჩილ ჯორჯაძე

---

*) გვიკვირს ბ. პლებსმა არ ისარგებლა ჩვენს წერილში მოყვანილ კორექტურული შეცდომით: მიხაილოვსკის თხზულების ავტორად ფულიე არის ნაჩვენები და სხვ.

**) ახლო მომავალში ჩვენ დავუბრუნდებით ამ საკამათო საგანს და ვრცელ წერილს დავბეჭდავთ „მოამბე“-ში.

***) მაგალითად, დიდის სიამოვნებით ვუპასუხებთ ბ. ტფილისელს, რომელიც ჩვენის გლეხ-კაცობის ბედნიერებას შეჰნატრის.

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. დიდი ხანია საფრანგეთის საზოგადოების დემოკრატიული ნაწილი ჰფიქრობს სამხედრო ბეგრის ვადის შემცირებას და, როგორც უკანასკნელ ცნობებიდან სჩანს, ეს ფიქრი მალე სინამდვილედ უნდა გახდეს. პალატაცა და სენატიც ამ საკითხზე მსჯელობს და მუშაობს. პალატაში შეეხენ ამ საკითხს სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს. სენატი ამ დღეებში შეუდგება საგანგებო კომისიის მიერ შესწავლილ როლანის პროექტის განხილვას. პროექტის შინაარსი შემდეგია: სამხედრო ბეგარა ყველასათვის სავალდებულოა და გაგრძელდება ორი წელიწადი; არავის არავითარი პრივილეგია არ ექნება, ნასწავლიცა და უსწავლელიც ორი წელიწადი იმსახურებს. რაც შეეხება ქვრივებსა და უმწეო დედებს, რომელთა შვილები ჯარში იქნებიან გაწვეული, სახელმწიფო მისცემს საკმაო სუბსიდიას, რომ ორის წლის განმავლობაში თავი შეინახონ.

ამგვარად საფრანგეთში მთელის წლით შემცირდება ჯარში სამსახური, რაც მეტად დიდი შემსუბუქებაა მშრომელ ხალხისათვის და დიდ გავლენასაც იქონიებს საფრანგეთის ეროვნულ სიმდიდრის აყვავებაზე, გარდა ამისა მოისპობა ის უთანასწორობა სამხედრო ბეგრის წინაშე, რომელიც აქამდე არსებობდა—ყველას ერთგვარად გადაახდევინებენ ამ ვალს და უმწეოდ არ დარჩება ის ხალხი, რომელსაც ჯარში მიმავალი ახალგაზდა ინახავდა.

პროექტის ავტორი როლანი, სენატის საგანგებო კომისია, რომლის თავმჯდომარედ ფრეისინე არის, ეხლანდელი სამხედრო მინისტრი ანდრე და სხვა სამხედრო ავტორიტეტებიც ყველასათვის თვალსაჩინოდ ამტკიცებენ, რომ ჯარისკაცების გაწრთვნა, სამხედრო დისციპლინა და საზოგადოდ ეროვნულ ჯარის თვისებები ბევრს მოიგებენ ჯარში ყოფნის ვადის შემცირებით და პრივილეგიების მოსპობით.

ის გარემოება, რომ ჯარში არსებობს მთელი კატეგორია უპირატესობიან ჯარის-კაცებისა, რომელნიც მხოლოდ ერთი წელიწადი იმსახურებენ, მცოდნე პირების აზრით, არღვევდა ჯარის შემადგენელ ნაწილების ერთგვარობას და ამით ასუსტებდა ჯარს სამხედრო მოქმედების დროს. ორი წელიწადი, ამავე მცოდნე პირთა აზრით, სრულიად საკმარისია ჯარის კაცის გაწვრთნისათვის: ამ ხნის განმავლობაში არა თუ ქვეითი ჯარის კაცი, არტილერისტიცა და კავალერისტიც გაეცნობა საქმის წვრილმანებსაც კი და სიძნელეს შეჩვეული მტკიცე და კარგი ჯარის კაცი დადგება. ეხლაც მეტი წილი გაწვეულ ჯარის კაცებისა 10—12 თვეზე მეტი არ იწვრთნება თურმე სამხედრო საქმეში. რაც უნდა იყოს, 100-ზე 90-ისათვის სრულებით უსარგებლოა კაზარმაში დარჩენა სამხედრო ტეხნიკის შესწავლის მხრივ. ყველა ნიჭიერი და მოხერხებული ჯარის კაცი ერთის წლის სამსახურის შემდეგ იმის ცდაშია სხვაგვარი საქმე რამე გაიჩინოს კაზარმაში—ზეინკლობას, დურგლობას, ან სამზარეულოში და კანცელარიაში მიდის. ამისთანების რიცხვი ერთობ ბევრია თურმე საფრანგეთის ჯარში და სხვაგანაც. ამიტომაც არის, რომ საგანგებო კომისიაც და სამხედრო მინისტრიც იმ აზრის გახდნენ, რომ სამხედრო ბეგარის მოსახდელად გაწვეული ახალგაზდები ბევრად უკეთ გაეცნობიან სამხედრო ტეხნიკას, თუ კაზარმაში ორი წელიწადი დარჩებიან და მთელ ამ დროს ტეხნიკის შესწავლას მოანდომებენ და რომ მესამე წელიწადს კაზარმაში უსაქმოდ დარჩენა არა თუ მეტია, მავნებელიც სამხედრო დისციპლინისა და ჯარის სულის მდგომარეობისათვის. მრავალ წლის გამოცდილება ამტკიცებს, რომ კაზარმაში ორის წლის ყოფნის შემდეგ ჯარის კაცისათვის დგება ის ფსიხოლოგიური მომენტი, როცა იგი ტეხნიკის შესწავლის შემდეგ, მოწყენილია, უმძიმდება მას სამსახური და სცდილობს გვერდი აუხვიოს მას. დისციპლინის დარღვევისათვის პასუხის გებაში მიცემულ ჯარის კაცთა შორის დიდი უმრავლესობა ისინია, ვისაც კაზარმაში ორ წელზე მეტი დაუყოვნია.

ამ საბუთების ძალით საგანგებო კომისია და სამხედრო მინისტრი სთვლიან ჯარში სამსახურის ვადის შემცირებას არა თუ სასურველად, არამედ აუცილებელ საჭიროდაც სამხედრო საქმის უკეთ მოწყობისათვის.

როლანის პროექტის განხორციელებით არსებულ ჯარს დააკლდება—120 ათასი კაცი. ამ დანაკლისის შესავსებად არის, რომ პროექტის ავტორი თხოულობს ყველა პრივილეგიების მოსპობას, რაც 70 ათას ჯარის კაცს შეჰმატებს საფრანგეთის ჯარს. გარდა ამისა პროექტი თხოულობს, რომ მიღებულ იქმნას ჯარში ყველა ის პირები, რომელთაც ეხლა ანთავისუფლებენ პატარა ტანის ან სხვა ფიზიკურ ნაკლის მიზეზით: ამათ, რასაკვირველია, სამხედრო ტეხნიკის შესწავლა არ შეუძლიათ, მაგრამ სამაგიეროდ სხვა საქმეებს, კანცელარიულს, ხელოსნურსა და სამზარეულოს, ადვილად შეასრულებენ და ამ გვარად ტეხნიკას დაუბრუნდებიან ის პირები, რომელნიც ეხლა ზემოხსენებულ საქმეებს აკეთებენ.

ვალდეკ-რუსსოს სამინისტრომ ამ მხრივაც დიდი სარგებლობა მოუტანა საფრანგეთს: თუ ეს პროექტი არჩევნებამდე არ შეიქნა კანონად, მაინც არ დაგვიანდება მისი გაკანონება, რადგან ნიადაგი კარგად მომზადებულია. საფრანგეთის ხალხს შესამჩნევად შეუმსუბუქდება მილიტრისმის საშინელი სიმძიმე და ჯარიც არა თუ არ შესუსტდება, გაუმჯობესდება კიდეც.

სამხრეთ-აფრიკა. ბურების დელეგატების—ვოლმარანსისა და ვესელის—წასვლას ამერიკაში სხვა-და-სხვა ნაირად ხსნიან. ზოგი ამტკიცებს, რომ დელეგატების წასვლა გამოწვეულია იმ საიმედო ცნობებით, რომელიც ამერიკიდან მოვიდათ. ეს ცნობები უკვე მოსული ყოფილა, როცა ორანჟეს რესპუბლიკის კონსულად ნამყოფს მიულლერს მიეწერა ფიშერისათვის დეპეშა—ბურების მომხრეობა და ინგლისისადმი ანტიპატია მეტად გაძლიერდებოდა ამერიკაში, რომ კრიუგერი შესძლებდეს ამერიკაში ჩამოსვლას და პირადათ მიჰმართავდეს ამერიკის საზოგადოებას. ამ დეპეშის მიღებისთანავე დელეგატები სათათბიროდ შეკრებილან და გადაუწყვეტიათ ორის დელეგატის ამერიკაში გაგზავნა. დელეგატები დარჩებიან ამერიკაში ერთი თვე და ბევრ ადგილს მოივლიან. შემდეგ ულაპარაკნიათ კრიუგერის წასვლაზე ამერიკაში. ექიმების აზრით, კრიუგერი ადვილად გადაიტანს ამ მგზავრობას, თუ კარგი დრო იქნება ამორჩეული წასვლისათვის. კრიუგერს მაინცა და მაინც არ უნდა ამერიკაში წასვლა, მაგრამ თუ საჭირო იქნება, იგი ყოველთვის მზად არის თავის ხალხისათვის თავი დასდოს.

სხვები კი სულ სხვას ამბობენ: ამათი აზრით, ორის დელეგატის წასვლის მიზანი უნდა იყოს ამერიკელების „ქველ მოქმედების ორგანიზაცია, გაერთიანება და სხვა არაფერი.“

სამხრეთ-აფრიკაში კი ისევ მხნე, უმაგალითო ბრძოლაა. თავისუფლებისათვის თავდადებულნი გმირულად უმკლავდებიან ძალ-მომრეობას.

ჩინეთი. როგორც ვიცით, ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობამ პროტესტი განუცხადა რუსეთსა და ჩინეთს მანჯურიის საქმეების გამო, მანჯურიის „რუსიფიკაციის“ გამო, როგორც პროტესტშია ნათქვამი. ეხლა იტყობინებიან, რომ სანამ ეს პროტესტი რუსეთის მთავრობას გადაეცემოდა, იგი უჩვენეს ვაშინგტონში მყოფ ელჩებს, რომელთაც მოუწონებიათ იგი. ჯერ ჰფიქრობდნენ, რომ ყველა ელჩები მოაწერდნენ ხელს კოლექტიურ ნოტას, მაგრამ ამერიკას მთავრობა წინააღმდეგი შეიქნა ამისა, რადგან ნოტას მაშინ ულტიმატუმის ხასიათი ექნებოდა და დიდ უსიამოვნებას გამოიწვევდა რუსეთში.

ჩინეთის ელჩმა ვუ-ტინგ-ფანგმა დიდად მოიწონა ამერიკის დეკლარაცია და ჩინეთის მთავრობის მხრივ მადლობაც გამოუცხადა მას ჩინეთის ინტერესების ქომაგობისათვის.

ბევრს მანჯურიის საქმე გათავებული ეგონა, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ადვილად შესაძლებელია, იგი ისევ განახლდეს. ინგლის-იაპონიის კავშირი, ამერიკის დეკლარაცია და ჩინეთის მთავრობის მადლობა ვერაფერი ნიშნებია მანჯურიის ეხლანდელი მპყრობელისათვის.

რაც დრო გადის, უფრო და უფრო ცხადი ხდება, რომ ჩინეთის არეულობამ და კულტუროსან ევროპიელების ბარბაროსობამ ყველაზე მეტი სარგებლობა იაპონიას, ამ „ყვითელ ინგლისს“, მოუტანა. ტოკიოდან დეპეშით ატყობინებენ „ტაიმსს“, რომ ჩინელი სტუდენტების რიცხვი იაპონიაში დღითი-დღე იზრდება. ეხლა იაპონიაში ყოფილა 275 ჩინელი სტუდენტი, ამათგან 163 თვითონ ჩინეთის მთავრობას გაუგზავნია. ცხადია, იაპონიის გავლენაც გაიზრდება ჩინეთში იაპონიაში ჩინელ სტუდენტების რიცხვის ზრდასთან ერთად.

საყურადღებო და საგულისხმიეროა ამოდენა სტუდენტების ერთბაშად გაგზავნა სასწავლოდ: ჩინეთი ჩქარობს განვითარდეს, ძალი მოიკრიფოს, რომ დამცირება და შეურაცხყოფა გადაუხადოს „კულტუროსნებს“.

გერმანია. პოლონელების საქმე მოსვენებას არ აძლევს გერმანიის მთავრობას. შინ ხომ ყოველ ღონეს ღონობს პოზნანელების წინააღმდეგ, ეხლა რომის პაპის დახმარება მოინდომეს პოლონელ მამულიშვილების წინააღმდეგ. საქმე ის არის, რომ ამ მამულიშვილებ შორის არა მცირე ადგილი უკავიათ მღვდლებს, კსენძებს. საკვირველია, რომ პოლონელ კსენძებს „სკუფია“ და „კამილავკა“ დიდ განძათ არ მიაჩნიათ (ისე როგორც ერის კაცების პროპორშჩიკობა) და ლხინში თუ ჭირში მხარში უდგანან მრევლს. გერმანიის მთავრობამაც იმიტომ მიჰმართა პაპს, ეს მღვდლები „დაეჭკვიანებია“. წინადაც მიუმართავს მთავრობას რომისათვის ამ გვარის თხოვნით, მაგრამ ვატიკანს ყოველთვის ის უპასუხნია, რომ ამ შემთხვევაში იგი ნეიტრალიტეტს ვერ დაარღვევს.

ახალი ამბავი

◆ ხელმწიფე იმპერატორმა, საერო განათლების მინისტრის მოხსენების თანახმად, უმაღლესად ინება ნება დართოს, საცდელად, ხუთის წლით, საიმპერატორო სამხედრო საექიმო აკადემიაში, იმ პირებთან ერთად, რომელთაც გიმნაზიებში კურსი დაუმთავრებიათ, მიიღონ ის ყმაწვილი კაცებიც, რომელთაც საერო განათლების მინისტრის უწყების **რეალურ სასწავლებლების** შვიდ-კლასიანი კურსი დაუსრულებიათ, მხოლოდ ეკზამენი უნდა დაიჭირონ აკადემიაში ყოფნის განმავლობის დროს ლათინურს ენაში იმ პირობით, რასაც გიმნაზიების ოთხს კლასში გადიან. ამის გამო კავკასიის სამოსწავლო ოლქს მოუვიდა წინადადება საერო განათლების სამინისტროს დეპარტამენტიდან, განკარგულება მოახდინოს, რომ ნება მიეცეთ რეალურ სასწავლებლებში კურს დამთავრებულთ, ეკზამენი დაიჭირონ ლათინურ ენაში კავკასიის სამოსწავლო ოლქის გიმნაზიებში მოხსენებულის პროგრამით შემდეგ წლებში: 1902—1903, 1903—1904, 1904—1905, 1905—1906, 1906—1907.

◆ ჩვენ გვატყობინებენ, რომ ამიერ კავკასიის რკინის გზის ახალი უფროსი ინჟენერი **ივანოვსკი** კალუგიდან ტფილისში ჩამოვა 24 ან 25 თებერვალს.

◆ საგუბერნიო უფროსი საფაბრიკო ინსპექტორი 15 თებერვლიდან შეუდგა საფაბრიკო საქმეების მოწყობას, რათა ტფილისში შემოღებულ იქმნეს **საფაბრიკო ინსპექცია**.

◆ შაბათს, 16 თებერვალს, ტფილისის ქალაქის სასწავლებელთა კომისიამ შეიმუშავა, თანახმად ტფილისის საბჭოს 1899 წლის 10 მაისის გარდაწყვეტილებისა, წესდება **ა. ს. პუშკინის სახელობის სტიპენდიის** დანიშვნის შესახებ. წესდებით, პუშკინის სახელობის სტიპენდია დაენიშნება ქალაქის იმ ღარიბ მცხოვრებთა შვილებს, რომლებიც სწავლას დაასრულებენ ტფილისის ქალაქის სასწავლებლებში. ერთი სტიპენდია იქნება ტფილისის დედათა გიმნაზიაში, მეორე სტიპენდია ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში, მესამე—ტფილისის ქალაქის სახელოსნო სასწავლებელში და მეოთხე—ტფილისის სა-

ფელეტონი

უბრალო საუბარი მეცნიერულ საგნებზე.

I

იყო დრო, როცა ჩვენით დასახლებული დედა-მიწა, ეს ვეებერთელა მოედანი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისა, არ არსებობდა, მაგრამ განუსაზღვრელი ცის სივრცე მაინც სავსე იყო ურიცხვ-უთვალავი მნათობ-ვარსკვლავებით. დედა-მიწა ერთი იმ პლანეტებთაგანია, რომელნიც ჩვენს მნათობ მზეს გარს უვლიან საოცარის სისწრაფით და მასთან ერთად განკერძოებულ ოჯახს შეადგენენ. უვლიან-რა პლანეტები მზეს გარშემო, ამ დროს არც ეს უკანასკნელია უსაქმოდ გაჩერებული: ის ტრიალებს თავისი ღერძის ირგვლივ და თავისი ოჯახობით მიეშურება სადღაც, არავინ იცის საით, მისი გზა დაულეველია. ჩვენი მზის ოჯახობა, ანუ სისტემა ერთი ურიცხვთაგანია. ამ ნაირი სისტემები უთვალავ-უანგარიშოა ცის განუსაზღვრელ სივრცეში, ეს სისტემები კარგა მანძილზეა მოშორებული ერთი მეორისაგან. მაგ. მზის სისტემამდის, რომელიც ჩვენი მზის ოჯახობიდან სხვა სისტემებზე უფრო ახლოსაა, 32 ბილიონი ვერსტია. სინათლე წამში 300,000 კილომეტრს გადის, ამ მანძილს კი ასტრონომების გამოკვლევით $3^{1}/_{2}$ წელს გაივლის. რამდენია ამ ნაირი სისტემები? ამას კაცის გონება ვერ მისწვდება, რადგანაც მან არ იცის არც დასაწყისი, არც დასასრული ცის სივრცისა, რომელიც გაჭედილია ამ ნაირის სისტემებით.

საიდან გაჩნდა ეს სხეულები, რომელნიც ამ სისტემებს შეადგენენ? მატერიიდაო ან ნივთიერებიდანაო, გვეუბნება მეცნიერება, მაგრამ საიდან, ან როდის გაჩნდა ეს მატერია, ამაზე კი ვერაფერს იტყვის. სამაგიეროდ, როგორ გაჩნდა ამ ნივთიერებიდან ეს ცის უანგარიშო სხეულები, ამაზე საკმაოდ დასაბუთებულ პასუხს გვაწვდის ის მეცნიერთ კანტისა და ლაპლასის პირით. კანტმა და ლაპლასმა თავიანთი აზრები სისტემების გაჩენის შესახებ ერთი-მეორისაგან დამოუკიდებლად შეიმუშავეს და არსებითად[1] შეთანხმდენ კიდეც. მათის აზრით, ის ნივთიერება, რომლიდანაც ჩვენი მზის სისტემა შესდგება, პირველად ძალიან თხელ ნისლსავით იყო დაქსაქსული ცის სივრცეში. შემდეგ ეს სხეული დაიგუნდა, და მისგან წარმოსდგნენ ის ცის სხეულები, რომელნიც ჩვენის მზის სისტემას შეადგენენ. მიზეზი ამ დაგუნდავებისა ეგრედ წოდებული მიმზიდველობის ძალა იყო. არ არის ცის ქვეშეთსა და ზედეთზე არც ერთი ატომიც-კი, რომელიც ამ მიმზიდველობის ძალის გავლენის ქვეშ არ იმყოფებოდეს. ჩვენ ვიცით, რომ ქვეყანაზე საგნები ერთი მეორეს იზიდავენ. მაგ., წყლიან სტაქანში რომ პრობკის პატარა ნაჭერი ჩავაგდოთ, ის მაშინვე გაიქცევა სტაქნის იმ კედლისკენ, რომელიც უფრო ახლოს არის მაზე. ღრუბლებიდან წამოსული წვიმის წვეთები გზაში ერთმანეთს იზიდავენ, ერთდებიან და იზრდებიან. ამიტომაც წვიმა მით უფრო შხაპუნა და კოკის-პირულია, რაც უფრო მაღლაა მისი წარმომგზავნელი ღრუბლები. ღრუბლები თუ დაბლაა, მაშინ წვიმაც წვრილი და ჟუჟუნაა, რადგანაც გასავლელი მანძილი წვეთებს ისე პატარა აქვთ, რომ გზაში შეერთებას ველარ ასწრებენ. წყლის ორი წვეთი ერთმანეთს რომ დავუახლოვოთ რომელიმე სწორ საგანზე, უსათუოდ შეერთდება. მაშ, ყველაფერი თუ ერთი-მეორეს იზიდავს, რატომაა, რომ სტოლი, სკამი, ქვა და სხვა საგნები ერთმანეთს არ იზიდავენ და არ ეტაკებიანო? იკითხავს მკითხველი. ეს იმიტომაა ასე, მკითხველო, რომ დედა-მიწა, რომელიც რამოდენიმე მილიარდჯერ მეტია ყველა ჩამოთვლილ საგნებზე, უფრო მძლავრათ იზიდავს მათ თავისკენ და ნებას არ აძლევს ერთი მეორეს დაეჯახონ და მით ქვეყნიური ჰარმონია დაარღვიონ. წარმოვიდგინოთ, რომ დედა-მიწამ ერთ წუთს დაჰკარგა ეს დიდებული ძალა მიმზიდველობისა; უეჭველია, საშინელი აურზაური მოხდებოდა მაშინ მის ზედა პირზე: იმას გარდა, რომ ყველა მაზე მყოფი სულიერი და უსულო საგანი ერთი-მეორეს მიეკვრებოდა, ვინ იცის, შეიძლება დედამიწაც დატაკებოდა რომელიმე მაზე უფრო ძლიერ სხეულს და მასთან ერთად ისევ გამდნარ-გადუღებულ სხეულად ქცეულიყო!

როცა ჩვენი მზის სისტემის შემადგენელი მატერია თხელ ნისლსავით იყო დაფანტული სივრცეში, მაშინაც მოქმედობდა ეს მიმზიდველობის ძალა. ეს მატერია ერთობ დიდ მანძილზე იყო გაფანტული. მაგალითად, ერთი გრამი ამ მატერიისა რამდენიმე მილიონ კუბიკურ ვერსტზე იყო მაშინ გაპნეული. ამ დროს ეს ვეებერთელა ნისლი ნელნელა ბრუნავდა თავის ღერძის გარშემო, და ატომების ურთიერთ შორის მიმზიდველობის გამო თან-და-თან გუნდდებოდა, იკუმშებოდა, მის მიერ დაჭერილი სივრცის ფარგალი კი თანდათან კლებულობდა. რაც უფრო კლებულობდა ეს ვეებერთელა სხეული, მით უფრო ჩქარა ტრიალებდა ის თავის ღერძის გარშემო. ამნაირ პირობებში ჩამდგარი სხეული, როცა ის თხელი ნივთიერებიდან შესდგება, თანახმათ ფიზიკის კანონისა, უსათუოდ ბურთის ანუ შარის მსგავს სახეს ღე-

---

[1] მართალია, არსებითად შეთანხმდნენ, მაგრამ კერძოთ კანტს ბევრი შეცდომები შეეპარა თავის თეორიაში. ამ შეცდომების შესწორება და თეორიის გამაგრება ეკუთვნის ლაპლასს. ამის შესახებ იხილე **„Мировая и соціальная эволюція“ Ф. Камилла Дрейфуса**, გვ. 49.

მასწავლებლო ინსტიტუტში. იმ სასწავლებლების გამორჩევა, სადაც პუშკინის სახელობის სტიპენდიანტები ეყოლება ქალაქს, მინდობილი ექნება სკოლების გამგე-კომისიას, რომლის არჩევანსაც დაამტკიცებს ქალაქის გამგეობა. თითოეული სტიპენდია უნდა იქნეს ას მანეთიანი. ამ წესდებას ახლო მომავალში განიხილავს ქალაქის გამგეობა და წარუდგენს საბჭოს დასამტკიცებლად.

◆ 17 თებერვალს სახელმწიფო თეატრში **გოგოლის მოსაგონებლად** წარმოდგენა გამართეს, რომელზედაც მიწვეულნი იყვნენ ტფილისის საშუალო სასწავლებლის მოწაფენი—ქალები და ვაჟები. წარმოდგენას დაესწრო კავკასიის მთავარ-მართებელი თავადი გოლიცინი, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი, ოლქის ინსპექტორები, სასწავლებლების დირექტორები და მასწავლებლები. წარმოდგენის წინად, ფარდა რომ აიხადა, სცენაზე იდგა გოგოლის ქანდაკება გვირგვინებით შემკული სხვა-და-სხვა სასწავლებლებისგან. ერთმა გიმნაზიელმა ლექსი წაიკითხა და მასწავლებელმა სიტყვა წარმოსთქვა გოგოლის მნიშვნელობაზე რუსულს ლიტერატურაში. ითამაშეს „მაისის ღამე“.

◆ 29-ს გასულს იანვარს გურია-სამეგრელოს ეპარქიაში, სოფ. ცაიშს, ცაიშის საბლაღოჩინო ოლქის სამღვდელოებამ იდღესასწაულა 50 წლის მღვდელ-მსახურება და ბლაღოჩინობა ცაიშის სობოროს დეკანოზის **მიხეილ მეუნარგიასი**.

ამ დღესასწაულისა და იუბილარის შესახებ „მწყემსში“, სხვათა შორის, ვკითხულობთ შემდეგ ცნობებს:

„29-ს ცაიშში შეკრბენ მთელი ოლქის სამღვდლო და საეკკლესიო მსახურნი და მრავალნიცა სხვანი ერის კაცთაგანი,—იუბილიარის პატივისმცემელნი. აქ იყვნენ: მისი უმაღლესობა პრინცესსა სალომე დავითის ასული მიურატისა, თავის ქალით, ზუგდიდის მაზრის უფროსი გ. ა. კეგამოვი, ზუგდიდის მაზრის მომრიგებელ-შუამავალნი თავ. ზალ. წავწავაძე და თავ. მ. მ. დადიანი, მომრიგებელ-მოსამართლის თანაშემწე გ. გ. სოხანსკი, ბლაღოჩინი ანდრია ვახანია, სამრევლო სკოლების ზედამხედველი ტ. ჟოხთაბერიძე, ზუგდიდის ქალაქის წარმომადგენელი სპ. აბესაძე და სხ. სანამ წირვა დაიწყებოდა ადგილობრივს მიძინების სკ. ეკკლესიისკენ გაემწკრივნენ: ცაიშის სამონასტრო შკოლის შეგირდები, ცაიშის ქალთა შკოლა ოლღა ჟორდანიასი, ცაიშის სამრევლო შკოლა ვაჟებისა, ცაიშის სამრევლო შკოლა ქალებისა და მრავალნი სამრევლოთაგანნი. 11 საათზე ხობის მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა სიმეონმა აღასრულა სამღვთო ლიტურგია.

შემდეგ ლიტურგიისა, სამღვდელოებამ მიართვა დეკანოზს ვერცხლის ხატი მთავარ-ანგელოზის მიხაილისა და ადრესი. დეკანოზი მეუნარგია დღეს არის შობიდამ 75 წლისა. ბლაღოჩ. თანაშემწედ დანიშნულა 2 თებერვალს 1851 წ. იმას აქვს ჯილდოები: წმინდა ანნასი მეორე ხარისხისა, წმინდა ვლადიმირის მესამე ხარისხისა და ენქერი.

ჯერ ბევრს უნდა ახსოვდეს სამეგრელოში, რა მაღალის აზრისა იყო იუბილიარზე განსვენებული იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი და რა მედგრად ეწინააღმდეგა დეკანოზი მეუნარგია წირვა ლოცვის მეგრულად შემოღებას სამეგრელოს ეკკლესიებში.“

◆ ყარსის რკინის გზის სადგურ კარაკლისიდან იტყობინებიან, რომ 15 თებერვალს, ღამის 12 საათზედ, 131 ვერსტზე **ჩამოვარდა დიდი კლდე**, 70 ფუთამდე, რომელმაც მოტეხა რელსის ნაჭერი დი შორს გადისროლა. საფოსტო-სამგზავრო მატარებელი № 60, ლიანდაგის დარაჯების წყალობით, დიდ უბედურებას გადარჩა.

◆ „კავკაზს“ ატყობინებენ დუშეთიდან, რომ დუშეთის მაზრის სოფელ ველურში, პირველ თებერვალს ღამით ქსნის პოლიციის ბოქაულმა პოლიციის დარაჯის დახმარებით შეიპყრო **ციმბირიდან გამოქცეული** მიხეილ ბოლოტაშვილი, რომელიც რამდენიმე წლის წინად გაგზავნილი იყო ციმბირში გაცარცვისა და ქალის წვალებისათვის.

◆ დღეს, 19 თებერვალს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე ბორჩალოს მაზრის უფროსად ნამყოფის **არნოლდისა**, რომელსაც სამსახურის დროს სხვა-და-სხვა დანაშაულობათა ჩადენა ბრალდება.

◆ ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის თავის მოადგილეს, რომ დაუყოვნებლივ შეუდგნენ იმ კითხვის განხილვას. როგორ დაიცვან წყალდიდობისაგან **რიყის მცხოვრებნი**. როგორც ვიცით, წყალდიდობა გაზაფხულზე ძალიან ადრე დაიწყება ხოლმე.

◆ ქალაქის პირველ დაწყებითი **სკოლების გამგეს** ამ ჟამად თავისუფალი ადგილი უთხოვიათ: ბ-ნთ ყარაევს, უმიკიანცს, ფედოტოვს და რამდენსამე სხვათ; ამ სასწავლებელთა გამგე კომისია სკოლების გამგეს შემდეგს სხდომაზე ამოირჩევს.

◆ ქალაქის სასწავლებელთა **მასწავლებლის კანდიდატმა** ქ-მა შიუკაშვილისამ უარი განაცხადა თანამდებობაზე, ამიტომ ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიამ, 16 თებერვალს გარდასწყვიტა შემდეგს სხდომაზე ამოირჩიოს მასწავლებლის კანდიდატი.

◆ ტფ. ქალაქის გამგეობამ უკანასკნელს სხდომაზე განიხილა გამგეობის წევრის ენფიანჯიაცის მოხსენება ქალაქის წყლის მილების **ინვენტარის შედგენის შესახებ** და გარდასწყვიტა ამორჩეულ იქმნეს 4 კაცი—ქურდიანისა, ოთიანცისა, ლისიცევისა და ნიკოლაძისაგან — განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეადგინოს ქალაქის წყლის მილის ინვენტარი.

◆ ტფილისის პოლიცმეისტერმა აცნობა ქალაქის გამგეობას, ცხენის რკინის გზის ვაგონები მეტად **ჩქარა დაჭყავთ მოსახვევებში** და ამიტომ შესაძლოა, რომ უბედურება განმეორდესო; ამიტომ სთხოვს, საჭირო ღონისძიება იქმნეს მიღებული.

◆ ტფილისის მეეტლეებმა საჩივარი მიართვეს ტფილისის პოლიცმეისტერს, რომ ქუჩები ბევრგან წამხდარია და ეტლები სულ **გვემტვრევა**, მეტადრე ცხენის რკინის გზის ლიანდაგით, რომელიც დანასავით სჭრის ეტლის რეზინის თვლებსაო, და სთხოვეს დახმარება აღმოგვიჩინეთ, რადგანაც ქალაქის გამგეობა ჩვენ თხოვნებს უყურადღებოდ სტოვებსო. პოლიცმეისტერმა სამართლიანად სცნო მეეტლეთა საჩივარი და თხოვნით მიჰმართა ქალაქის გამგეობას ქუჩების მოკირწყვლის შესახებ, მეტადრე ავჭალის ცხენის რკინის გზის ლიანდაგისა.

◆ ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელმა აცნობა ტფილისის პოლიციას და ქალაქის თვით-მმართველობას, რომ ტფილისის მოქალაქეს გიორგი მიხეილის ძეს სულხანოვს, კანონთა კრებულის მე-1175 და 1176 მუხლების ძალით **სამუდამოდ აეკრძალა** ვაჭრობა.

◆ კვირას, 17 თებერვალს, ტფილისის „კრუჟოკში“ გამართული იყო ბალი **წყლისაგან გადამრჩენელ** საზოგადოების ტფილისის განყოფილების თანხის გასაძლიერებლად. ბალის გამართვის მოთავე იყო ინჟენერ ვურცელის მეუღლე. ბალს ძალიან პატარა შემოსავალი ჰქონდა, რადგანაც ხალხი ნაკლებად დაესწრო.

◆ კავკასიის სამხედრო ოლქის საინტენდანტო გამგეობას განუზრახავს შეიძინოს ი. ა. ჩითახოვების მემკვიდრეთაგან ის სახლები და მიწა, სადაც ამ ჟამად მოთავსებულია საინტენდანტო სამმართველო.

◆ ერევნის გუბერნიის ალექსანდროპოლის მაზრის მცხოვრებ გეურქ გევორქიანცისათვის ძმის, მარკოზის, მოკვლისათვის ერევნის ოლქის სასამართლოს 1901 წლის 27 ნოემბერს გარდაუწყვეტია უფლებისავე ღირსების ჩამორთმევა და მადნის სამუშევრებში 4 წლის ვადით გაგზავნა. ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება გევორქიანცს გაუსაჩივრებია ტფილისის სამოსამართლო პალატაში, რომელმაც ეს საქმე განიხილა 16 თებერვალს, დამნაშავედ იცნო ბრალდებული და დაამტკიცა ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება.

◆ 16 თებერვალს, სუმბათოვის ქუჩაზე, (პოლიციის მე-6 უბანში) სუმბათოვის სახლში ანნა კანოვალოვისას, სიმთვრალის დროს, არაყი ჰგონებია და ერთი სტაქანი ძმრის ესენცია დაულევია, რისგანაც იგი მიხეილის სამკურნალოში რამდენიმე საათის შემდეგ გარდაიცვალა.

◆ პოლიციის პირველ ნაწილის, პეტროვსკის უბნის მცხოვრებლებმა სთხოვეს გუშინ ქალაქის გამგეობას—ჩვენი ქუჩა მეტად ცუდს მდგომარეობაშია ყოველის მხრით, საჭირო ფული გადაგვახდევინეთ და ქუჩა რიგიანად მოგვიკირწყლეთო.

◆ პოლიციის მე-4 ნაწილში, 16 თებერვალს, ილარიონ რუსიშვილის საკუთარი სახლის ფანჯარა გაუტეხია ვიღაც ბოროტ-განმზრახველს და იქიდან წაუღია ფულად 50 მან. და 74 მანათის სხვა-და-სხვა ნივთები. რუსიშვილს ეჭვი განუცხადებია ვიღაც ანდრია მოროზკაზე, რომლის დასაჭერად და დაკარგულ ნივთების აღმოსაჩენად პოლიცია გამოძიებას შეუდგა.

◆ ამიერ კავკასიის რკინის გზის ლიანდაგის და შენობათა უფროსმა წინადადება მისცა რკინის გზის ნაწილების უფროსთ, რომ სადგურებზე და გზაზე ლიანდაგის ახლო მდგომარე ხეებს ტოტები შეაკვეცონ, რადგანაც, ქარის დროს, ეს ტოტები ვაგონებს ეხახუნებიან და საღებავს ფხეკავენ ვაგონის კედლებზე, ამტვრევენ მატარებლის ფარნების შუშებს და გარდა ამისა, შეიძლება თვალი და მთლად სახე დაუშავონ მატარებლის კონდუქტორებს და ვაგონის ღია ფანჯარაში მაყურებელი მგზავრთა. ეს დავალება უნდა შესრულდეს პირველ აპრილამდის.

◆ სადგურ ალტაგლიდან იტყობინებიან, რომ 17 თებერვალს საქონლის ვაგონი გაუღიათ ვიღაც ბოროტ-გამზრახველებს და მოუპარავთ ერთი ცალი ბრინჯი და ორი ცალი ფქვილი. ერთი დღის წინად სხვა ვაგონიდან მოიპარეს ერთი ცალი მწვანილი და ორი ცალი თხილი.

◆ სადგურ პუტადან იტყობინებიან, რომ 16 თებერვალს №-161 მატარებელს წამოეწია პირველის შემდეგ გაგზავნილი მუშა მატარებელი №-393, რომელმაც დააზიანა პირველი მატარებლის 9 ვაგონი. ხალხს უბედურება არ დამართია.

◆ სადგურ სადახლოდან იტყობინებიან, რომ 16 თებერვალს ბოროტ-განმზრახველმა დაჭერის დროს რევოლვერით დასჭრა მუშების უფროსი ჯაფარიძე. ბოროტ-გამზრახველი შეიპყრეს.

შემახის ამბები

გაზეთ „კასპს“ სწერენ: „ამ დღეებში დაბრუნდა კომისია, რომელიც ბ. გუბერნატორმა გაგზავნა შემახიის მაზრის დაზიანებულ სოფლების დასათვალიერებლად. კომისიას დაუთვალიერებია კარგა დაწვრილებით თვრამეტი სოფელი; ამ 18 სოფელში მოკლული აღმოჩნდა 42 კაცი, დაჭრილები—18; საქონელი (პირუტყვი) დაღუპულა 156 სული 11 ცხენი. 1361 სახლიდან ამ სოფლებში დაქცეულა 840 სახლი, დაზიანებულა 271. ყველა ეს ზარალი მოუვიდა განსაკუთრებით მაჰმადიანთა სოფლებს და ერთ სომხის სოფელს—მეისარი. ყველაზე ნაკლებად დაზიანდნენ მალაკანთა სოფლები, რადგანაც იმათ ხის სახლები აქვთ. დანარჩენ სოფლებში სახლები დაქცეულია ან ნახევრად დაზიანებული. ბ. გუბერნატორს ახალი ამბები მოუვიდა მამასახლისებისაგან, რომ 68 შორეული სოფელი დაზიანებულა, თუმცა ძალიან არა. გუშინ გუბერნატორმა ამ დაზიანებული სოფლების ზარალის გამოსარკვევად შვიდი მოხელე გაგზავნა.

ამ სოფლებში ხალხში შიმშილი ჩამოვარდა კომიტეტმა იქ ფქვილი გაგზავნა, ხოლო გუბერნატორი შუამდგომლობს, რომ იმათ მიეცეთ სატყეო მასალა, გარდასახადი დააცადონ და სატყეო ჯარიმები აპატიონ, რომლებიც მთის სოფლებს ადევთ.

საპიორებმა გუშინ დაასრულეს მიწის თხრა, მთლად ჩამოანგრიეს საშიშრად დაზიანებული კედლები.

კიდევ ლაპარაკობენ დამსწრენი პირველ დღეებში მომხდარ გულსაკლავ ამბებზე:

ბულობს. ამიტომ ამ ვეებერთელა სხეულმაც ბურთის სახე მიიღო, რომელზედაც ატომების უმეტესი ნაწილი ეკვატორის ახლო იყო თავმოყრილი. მიმზიდველობის ძალა კი ამ ადგილზე ნაკლები იყო, რადგანაც ის უფრო მოშორებული იყო ცენტრიდან. ამიტომ ეკვატორის ახლო მყოფი ნივთიერებანი, როგორც უფრო შორს მყოფნი, ნელნელა გატყორცნა დედა-ნისლმა.[2] აქ ცენტრიდან გამზიდველმა ძალამ წააჭარბა ცენტრისკენ მიმზიდველს. ამ ნაირი გატყორცნა ნაწილებისა დრო გამოშვებით ხდებოდა. ამ გატყორცნილმა ნაწილებმა თავის რიგზე დაიწყეს ბურთებათ შეკუმშვა სწორედ იმავე წესით, როგორსაც დედა-ნისლი ადგა. ამ ნაწილებიდან წარმოსდგა პლანეტები: მერკური, ვენერა, დედა-მიწა, მარსი, იუპიტერი, ურანი, ნეფტუნი და ბევრი სხვა წვრილები კიდევ; ხოლო შუაგული დედა-ნისლიდან კი—ჩვენი ცხოველ-მყოფელი მზე, რომელსაც ეს პლანეტები თავს ეხვევიან, როგორც შვილები თავის დედას. ყველა სხეული, რომელიც ამ პირველ-ყოფილ მატერიიდან წარმოსდგა, თავისი არსებობის პირველ საფეხურებზე უსათუოდ გამდნარ-გადადუღებული უნდა ყოფილიყო. ამის მიზეზი თვით ამ მატერიის დაგუნდვის პროცესშია დაფარული. ჩაქუჩი რომ დიდხანს ვცემოთ რამე საგანს, როგორც ჩაქუჩზე, აგრეთვე ამ საგანზე განვითარდება სითბო. როცა ურმის ღერძი დიდხანს ეხახუნება ზედ-სადგარს, იმდენად ვითარდება სითბო, რომ თუ ქონი არ წაუსვეს, მას ცეცხლი გაუჩნდება. საზოგადოდ, როცა ერთი სხეული მეორეს წაესმება, უსათუოდ სითბო ვითარდება. ამ ნაირადვე მოხდა პირველ ყოფილ მატერიის გალხვალ ბურთებად შეგუნდვის დროს. ამ დროს ატომები ერთი მეორეს იზიდავდნენ, უახლოვდებოდნენ და ეჯახებოდნენ, რის გამოც სითბო სწრაფად ვითარდებოდა. სითბოს ზრდამ იმ ზომამდე მიაღწია ზოგიერთ სხეულებზე, რომ აქ მეტი სიცხისაგან ყველა ნაირი ლითონი არა თუ გამდნარი და თხელი იყო წყალსავით, არამედ ზოგიერთი მათგანი გაზათაც კი იყო გადაქცეული. სითბო ამ სხეულებზე იზრდებოდა იმ დრომდი, სანამ ატომები იმდენათ არ დაუახლოვდებოდნენ ერთი მეორეს, რომ მათი კიდევ მეტი დაახლოვება და მჭიდროდ შეკავშირება შეუძლებელი გახდებოდა.

მართალია, ატომების მოძრაობა აბსოლიუტურად არ შეჩერებულა და სითბოც ვითარდებოდა ამ სხეულზე; მაგრამ ატომების მოძრაობის შესუსტება საკმაო იყო, რომ სხეულს მეტი სითბო დაჰკარგოდა ჰაერში, ვინემ ის იძენდა ამ სუსტი მოძრაობიდან. ამ მომენტიდან კი სხეული გაცივების გზას ადგება. დედა მიწა და პლანეტები უფრო ადრე დაადგნენ გაცივების გზას, უფრო ადრე დაჰკარგეს თავიანთი სითბო-სინათლე, ვინემ მზემ. ამისი მიზეზი იმათი სიდიდე-სიპატარავეა. გახურებული რკინის ორი ნაჭერი რომ ავიღოთ ერთი ორი მისხალი სიმძიმით, მეორე კი—ორი ფუთი და ერთნაირ გრილ ჰავაში დავდოთ, რამდენიმე ხნის შემდეგ დავინახავთ, რომ ორ მისხლიანმა ნაჭერმა უკვე დაჰკარგა თავისი სითბო, ხოლო ორ ფუთიანი კიდევ ძალიან ცხელია. ამიტომაა, რომ მზეს, რომელიც რამდენჯერმე მეტია დანარჩენ პლანეტებზე, ამდენხანს არ დაუკარგავს თავისი სითბო-სინათლე. მართალია, ისიც დიდი ხანია დაადგა გაცივების გზას, მაგრამ მის იმდენად გაციებას, რომ ეს საგრძნობელი შეიქნეს ჩვენი დედა-მიწისათვის, მილიონი წლები უნდა. ჯერ იქ ცეცხლის ზღვებია ამართული, რომელზედაც ცის-სიმაღლე ცეცხლის ზვირთები დაგორავენ; ჰაერში სულის შემხუთავი, გაზათ ქცეული ლითონებია გაპნეული.

ამნაირია მოკლეთ ჩვენი მზის სისტემის გაჩენის ისტორია. ამნაირადვეა წარმომდგარი დანარჩენი სისტემებიც, რომელთა რიცხვი—ურიცხვია, და ამნაირადვე ღორძინდებიან ეხლაც ახალი მზეები მისი პლანეტებით.

ასე რომ გასაოცარ მრავალფეროვან სურათს წარმოადგენს ჩვენი ვარსკლოვანი ცა! აქ ერთ სხეულზე რომ კარგა ხანია დაწეულა ტემპერატურა, და სიცოცხლის შემქნელი პირობებიც მომზადებულა, მეორე ამ დროს ისევ გაჩირაღდნებულია, ხოლო მესამე—ნისლსავით არის დაპნეული ცის სივრცეში. ზოგ მათგანზე რომ დაიწყო სიცოცხლე, ზოგი ამ დროს თვალცრემლიანი ესალმება სიცოცხლეს, მას უკვე მოუთავებია თავისი მისსია: აქ უცხოვრია ოდესმე სულიერ არსებებს და სხვა-და-სხვა კოსმიური მიზეზების გამო ბოლო მოღებიათ კიდეც. განა ჩვენი ყოველდღიურ ცხოვრებაშიაც ასე არ არის? აქ ერთი რომ იბადება, ამ დროს მეორე კვდება, მესამე რომ ბერდება, ცალი ფეხი საფლავისკენ აქვს გაშვერილი, მეოთხე ეს-ეს არის, ახლა იწყებს ტიტინს, ახლა ემზადება საცხოვრებლად, იფუჩქნება...

კანტისა და ლაპლასის თეორია ეხლა უბრალო გიპოტეზად აღარავის მიაჩნია, გარდა სრული უვიცისა. დღეს ყველას აქვს საშუალება დარწმუნდეს ამის სინამდვილეში, თუ კი ის, ტელესკოპით აღჭურვილი, ვარსკვლავებით მოჭედილ ზეცისკენ აღაპყრობს თვალებს [3].

ვ. დ—მე.

(შემდეგი იქნება)

---

[2] იხ. Силы и законы природы Д-ра А. Лампа გვ. 84.

[3] იხ. Клейна: настоящее и прошедшее земли გვ. 40—42.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამა გზავნის შვილს დუქნის უკანა ოთახში; უცბად მიწის ძვრაა და კედელი რახარუხით იქცევა, ნახევარი დუქანი ძირსა წვება; უბედური მამა გარბის ნანგრევებისკენ გულ-გახეთქილი და შვილს უძახის; ერთი ორი წუთის შემდეგ მამის ხმა-მაღლა ტირილზე დაჭრილი ბავშვი უპასუხებს ნანგრევების ქვეშიდან: „ნუ სტირი, მამა ჩემო, აქა ვარ, ჩქარა ამომიყვანე, თორემ მტვრით დავიხჩვები“! მეორე უფრო შესაზარი შემთხვევა. დიდი აბანო მთლად ჩამოწვა; 9—10 წლის პატარა ქალი, ნახევრად შიშველი მიწაში მოჰყვა; მოცვივდა ხალხი, რომ გადაარჩინონ საბრალო, პატარა ქალი წივის და კივის, ხალხს ემუდარება, მამას დაუძახონ, რომელიც იქვე ახლოა, რომ იმან ამოიყვანოს ტიტველი და სხვამ არავინ; მორბის თავზარ-დაცემული მამა და, რა დაინახავს თავის უბედურ საყვარელ შვილს მტირალს და სისხლში მოსვრილს, უგრძნობლად დაეცემა; პატარა ქალი გამწარებული ყვირის: „ამათ ოლდი“ (მამა მოკვდაო); მისცვივიან, რომ მამა მოაბრუნონ და შვილი გაანთავისუფლონ, ქალი არა სჩადის... საზარლობაა!—ამ დროს საშინელი კლდე, გვერდის კედელი ჰქა-ქუხილით იქცევა და... საბრალო პატარა ქალის ხმა აღარ ისმის...

რუსეთის ქრონიკა

∝ ამას წინად გაზეთში მოხსენებული იყო, რომ ალექსანდრე ნეველის ლავრაში ვიღაც ბოროტ-განმზრახველი დაეცა არხიმანდრიტს ნიკონს და მოკვლას უპირებდაო. საქმე ასე ყოფილა.

ლავრაში მისულა ვიღაც უცნობი უმაწვილი კაცი და უთქვამს, არხიმანდრიტის ნახვა მინდაო. მორჩილი წავიდა მოსახსენებლად, უმაწვილი კაცი კი ოთახში დარჩა მარტო. პირველად არხიმანდრიტმა უარი სთქვა ნახვაზე, რადგანაც ავად იყო, მაგრამ შემდეგ კი, რომ ჩააცივდნენ, გამოვიდა უცნობთან. როდესაც უმაწვილ კაცს ელაპარაკებოდა, არხიმანდრიტმა შენიშნა, რომ სტოლზე ორი დიდი ოქროს ჯვარი აღარ არის და ჰკითხა მორჩილს, რა იქნაო. ამ დროს ახალგაზდა კაცი ეძგერა არხიმანდრიტს და რაღაც მძიმე იარაღი რამდენჯერმე დაჰკრა თავში. დამნაშავემ მოასწრო დამალვა; მორჩილი გამოუდგა ბოროტ-გამზრახველს, მაგრამ ვერ დაეწია. არხიმანდრიტის სიცოცხლე საშიშ მდგომარეობაშია არხიმანდრიტი 72 წლისაა.

∝ მოსკოვიდან ატყობინებენ „ნოვოსტს“ „უბედური შემახელების სასარგებლოდ, რომელნიც ასე უწყალოდ დაიღუპნენ მიწის ძვრისაგან, დიდ მარხვაში დიდს თეატრში გაიმართება რამდენიმე სათეერო წარმოდგენა. წარმოდგენებში მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო არტისტები. პროგრამები შემკობილი იქნებიან ხელით ნახატი მხატვრობით შემახიელთა ცხოვრებიდან შიდობიან დროს.

∝ საშინელი მიწის ძვრის გამო კავკასიაში ქალაქ ოდესის მომრიგებელი მოსამართლენი, როდესაც არიგებენ მომჩივართ ერთმანეთთან, წინადადებას აძლევენ, რომ შეძლების და გვარად შესწირონ რამე მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.-ზოგიერთი მომჩივარნი თითონ უდებენ ერთმანეთს პირობას—შესწირონ რამე დაზარალებულ ადგილების მცხოვრებლებს („ოდ. ნოვ.“).

∝ მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესმა ანტონიმ, პეტერბურგის მიტროპოლიტმ ხუთასი მანეთი გაუგზავნა შემახიელ დაზარალებულთ ალექსანდრე ნეველის ლავრის ფულიდან. ამასთანავე მიტროპოლიტმა განკარგულება მოახდინა, რომ ეკკლესიების კათედრებიდან მოიწვიონ სატახტო ქალაქის მცხოვრებნი დაზარალებულ შემახელთა დასახმარებლად შესაწევრით. კვირას, 17 თებერვალს, პეტერბურგის ყველა ეკკლესიებში განზანკს ჩამოატარებენ შემახიელების სასარგებლოდ („რუსკ. ვედ.“).

პრესსა

რუსულ ჟურნალ-გაზეთების უმთავრეს ყურადღებას ჯერ ისევ სწავლა-განათლების რეფორმის საქმე იწვევს. აუარებელი მასალა დაიბეჭდა უმაღლეს და საშუალო სკოლის შესახებ; უფრო ნაკლებად დაბალ სახალხო სკოლებზე იყო ლაპარაკი. მაგრამ, ბოლოს დროს ამ სკოლებსაც შეეხნენ. ეს ინტერესი გამოიწვია იმ ხმამ, რომ საერო განათლების სამინისტროს განზრახვა მოუვიდა განიხილოს დაბალ სკოლების პროგრამა და შეუფარდოს ის საშუალო სკოლის პროგრამასაო. ამ ხმას სიამოვნებით ეგებება გაზ. „რუსსკ. ვედომ.“, რომელიც სამართლიანად ჰხედავს აქ მთელის სისტემის გამოცვლის ნიშანს. შორს არ არის ის დრო, იხსენიებს გაზეთი, როდესაც საშუალო სკოლის კარები სრულიად დახშულ იქმნა დაბალ წოდებათა შვილებისათვის. ყველას ახსოვს ის „შესანიშნავი“ ცირკულიარი გრაფის დელიანოვისა, რომელიც გულ-ახდილად ამბობდა, რომ ღარიბლატაკთათვის ადგილი არ უნდა იყოს საშუალო სკოლაშიო. რასაკვირველია, ასეთის შეხედულებით გამსჭვალულს სამინისტროს არაფრად აინტერესებდა საკითხი—ეთანხმებიან ერთმანეთს თუ არა დაბალ სკოლისა და საშუალოს პროგრამები და ამ სკოლებს შუა არავითარი კავშირი აღარ იყო. ახლანდელი სამინისტრო-კი, გვარწმუნებს გაზეთი, სხვა აზრისაა და ამიტომაც ჰფიქრობს პროგრამების შეთანხმებასაო... ღმერთმა ჰქნას!

გაზეთი ამასთანავე ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ხალხის მოთხოვნილება გაიზარდა, ხალხი ამ უკანასკნელ 30—40 წლის განმავლობაში, გლეხთა განთავისუფლების შემდეგ, წინ წავიდა, სულიერად გალონიერდა და ამიტომ საკმაო აღარ არის ის პროგრამა, რომელიც არსებობს პირველ დაწყებით სკოლებში.

სწორედ დროა აღძრულ იქმნას საკითხიო, სწერს გაზეთი, რომ სოფლებშიაც გაიხსნას იმგვარი საქალაქო სასწავლებლები, როგორიც არსებობენ ქალაქებში 1872 წლის წესდების თანახმად. ამ სასწავლებლის პროგრამა უფრო ფართოა და ცოდნასაც მეტს იძლევა, ამიტომ ამგვარის ტიპის სკოლა უფრო დააკმაყოფილებს თანამედროვე სოფლის გაზრდილ-განვითარებულ მოთხოვნილებას. ამასთანავე ამ სასწავლებელს ადვილად შეუძლია მოამზადოს ხალხის შვილები საშუალო სკოლებისათვის.

დასასრულ გაზეთი ამბობს, რომ თუ გვინდა საქალაქო სასწავლებელმა სავსებით და რიგიანად აღასრულოს სოფლის უმაღლეს სკოლის როლი, საჭიროა რეფორმა მოხდეს მის მართვა-გამგეობის საქმეშიო, გარდა იმისა რომ ცოტაოდენი ცვლილება პროგრამასაც დასჭირდებაო. ამ ჟამად ეს სასწავლებელი წმინდა ბიუროკრატიული სკოლაა; იგი ექვემდებარება მთავრობას და სრულიად არა აქვს კავშირი საზოგადოებასთანაო. ამ გარემოებამ საზოგადოების თანაგრძნობაც დაუკარგა საქალაქო სკოლასა და სხვაფრივაც ავნოო. ამის გამო გაზეთი საჭიროდ სთვლის, რომ საქალაქო სასწავლებელი და სახალხო სკოლები ადგილობრივ თვით-მართველობის ზედამხედველობის ქვეშაც იყოს.

წერილი ქუთაისიდან

(მარგანეცის მრეწველობისა და სინდიკატის ამბები)

ეს სამი კვირა მეტია, რაც თავ-მოყრილნი არიან ქუთაისში ახალი ამხანაგობის „შავი-ქვის“ ჯგუფთა წარმომადგენელნი და ყოველ დილასაღამოს იკრიბებიან ახალი დიდი საქმის მოწყობისათვის. კრებებში თავმჯდომარეობს და საქმეს ხელმძღვანელობს ბ-ნი გ. ფ. ზდანოვიჩი, რომლის მხნეობა და საქმიანობა სწორედ რომ განსაცვიფრებელია.

15 თებერვალს საღამოს, როგორც იქნა, გადაწყდა საქმე. გუშინ უკანასკნელად და საბოლაოდაც ოფიციალურად ნოტარიუსის და ყოველ გვარი ფორმალური წესებით გადაწყდა და კიდეც შესდგა „შავი-ქვის“ საზოგადოება. „შავი-ქვის“ საზოგადოებას შეადგენს თვრამეტი ჯგუფი, „იმედის“ და „სოიუზის“ გარდა, რომელნიც, იმედია, მალე მოაწერენ ხელს საჭირო საბუთებს და საბოლაოდაც შეუერთდებიან ახალს ამხანაგობას.

ამას წინად ბერლინიდან გამოგზავნილი 200.000 მანეთის საქმეც გადაწყდა. 100.000 მანეთი ავანსად მიეცა ჯგუფების წარმომადგენელთ ტონელების გასაწმენდად, მამულების შესაძენად, მუშების და ჩალვადრების გასასწორებლად და სხვა საჭირო ხარჯებისათვის, ხოლო მეორე 100.000 მანეთი გადადებულ იქმნა მამულებისავე შესაძენად, საუკეთესო-ქვის საყოდლად და „შავი-ქვის“ საზოგადოების კანტორის მოსაწყობად და სხვა მოსალოდნელი ხარჯების დასაფარავად.

„მან-გან სინდიკატ“-ის წარმომადგენელი ბ-ნი ნეიმანი ბერლინიდან უკვე ჩამოვიდა ქუთაისში და ამიერიდან აქ იცხოვრებს.

ამ მდგომარე წლის იანვრის თვეში ჭიათურის, ჭიქოურის და დარკვეთის ბაქნებზე (ფლატფორმებზე) ეწყო 41.000.000 ფუთზე მეტი შავიქვა.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

18 თებერვალი

პეტერბურგი. კადეტთა 1-ლ კორპუსმა 17 თებერვალს თავის დაარსების წლის თავი იდღესასწაულა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. კრემლევის პოლკის უნტერ-აფიცერი ასტაფიევი ყაზარმაში შეძვრა და ფანჯრებიდან თოფით სროლა დაიწყო: პირდაპირ სახლიდან, სადაც ჟანდარმის დენერალი დგას, მსახური გამოვიდა და იქვე მოჰკლა ასტაფიევმა; ორი გამვლელი დაჭრილია. სამი საათის განმავლობაში ასტაფიევი თოფს ისროდა და შეუძლებელი იყო მისი შეპყრობა. მოწვეული იყო ცეცხლის მქრობელი რაზმი, მაგრამ ვერას გახდა. ბოლოს ასტაფიევმა თვითონ მოიკლა თავი. ამბობენ, გიჟი იყო და მთელი დღე ულოთნია თურმე.

ბაქო. დეპეშა მოვიდა ვოლოჩისკიდან, რომ „ორიონ“-ის საზოგადოების მმართველი ასლანოვი, რომელმაც ფულები მიითვისა და აქედან გაიქცა, იქ დაუჭერიათ.

კომისიამ გამოიკვლია 18 დაზარალებული სოფელი: მოკლულია 42 კაცი, დაჭრილია 10 კაცი; შინაური პირუტყვი 167 სული დახოცილა; 1,361 სახლიდან 840 დანგრეულა, დაზარალებულა 271. შორეულ სოფლებიდან 68 სოფელი დაზარალებულა მიწის ძვრისაგან, მაგრამ მცირედ.

როსტოვი. შენობათა ცეცხლისაგან დამზღვევ საურთიერთო საზოგადოებამ თავის არსებობის 25 წლის შესრულების გამო დაადგინა, მარიამის სახელობის ქალთა პროგიმნაზიაში გენერალ ბოღდანოვიჩის სახელობაზე ხუთი სტიპენდია დაარსდეს. გენერ.-ლი საზოგადოების დამაარსებელია.

მოსკოვი. მეღვინეთა კრებამ დაადგინა, ვსთხოვოთ მთავრობას, რომ უცხოეთიდან შემოტანილ ღვინოზედაც ისეთივე წესი იყოს ხმარებული, როგორიც არის დანიშნული რუსეთის ღვინოზე. შემოტანილ ღვინოზე ადგილობრივმა სავაჭრო პალატამ მოწმობა უნდა მისცეს, ღვინო კი უნდა ჩაისხას ბოთლებში ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლის თანადასწრებით თვით ტამოჟნაში.

ჩერნიგოვი. ნოვგოროდ-სევერის ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ფილიპე გარდაიცვალა.

კრასნოიარსკი. სახალხო სახლი გაიხსნა პუშკინის სახელობაზე.

ვარშავა. სახლის პატრონები შუამდგომლობენ, რომ გარდასახადი შეამცირონ, რადგან ვარშავაში ქირის ფასებმა იკლო.

განჯა. შემახელების სასარგებლოდ შეწირულებათა ასაკრებად კომიტეტი შესდგა.

ირბიტი. იარმარკა დაცარიელდა. დარჩენილ საქონელს ადგილობრივი და ახლო-მახლო ადგილების მცხოვრებნი ჰყიდულობენ.

კოვნო. ქალაქ შავლაზში საკომერციო სასწავლებლის დასაარსებლად კომიტეტი შესდგა.

სიმბირსკი. საგუბერნიო ერობის ფულით ზაფხულში ორ ადგილას უნდა დაარსდეს სოფლელთა უმაწვილებისათვის თავ-შესაფარი.

პეტერბურგი. განჯიდან, კალუბიდან და კრასნოიარსკიდან იტყობინებიან, რომ გოგოლის სახსოვრის დღესასწაულისათვის ემზადებიანო.

ოდესა. აქაურს საწყობებში ამ ჟამად 300 ათასი ჩეტვერტი პურის მარცვალია და 100 ათასი—ქერი და სიმინდი.

ვილნო. „წითელი ჯვარი“-ს აქაურმა მმართველობამ შემახელების სასარგებლოდ შეწირულების მიღება გამართა.

ტამბოვი. სამეფიზიკო-საექიმო საზოგადოების მიერ გამართული ლექციები ჰიგიენაზედ, ფიზიკაზედ და ფსიხოლოგიაზედ, რომელიც შაბათობით იყო ხოლმე და ხალხიც ბლომად ესწრებოდა, ამ ჟამად დაიხურა, რადგან ახალგაზდობა ამ ლექციებზე კარგა თავს ვერ იჭერდა.

პარიზი. მინისტრ-პრეზიდენტი გვარიანად გრძნობს თავს, მაგრამ საჭიროა, ძლიერის ტკივილებისა გამო, სრულიად მოსვენებული იყოს.

ლონდონი. კიტჩენერი იტყობინება, რომ 14 თებერვალს ბურებმა დაჰკარგეს: 50 მოკლული, 10—დაჭრილი და 759 დაატუსაღეს; 11 თებერვალს კი ტყვედ დაჰკარგეს ას კაცზე მეტი.

გამომც. და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 15 თებერვალს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,05	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,75	
ბერლინზე „	46,27$^1/_2$	
პარიზზე „	37,67$^1/_2$	
ბირჟის დისკონტი	4$^1/_2$—6$^1/_2$$^0/_0$	
1$^0/_0$ სახელმწიფო რენტა	96$^1/_8$	გაყიდ.
1$^1/_2$$^0/_0$ შინაგანი სესხი 1893 წ.	—	„
4$^0/_0$ გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	—	„
5$^0/_0$ 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	475	„
5$^0/_0$ მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	376	„
5$^0/_0$ გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	298	„
3$^1/_2$$^0/_0$ გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—	
5$^0/_0$ ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—	
4$^1/_2$$^0/_0$ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5$^0/_0$ გირავნ. ფურც.	—	
4$^1/_2$$^0/_0$ გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—	
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6$^0/_0$ გირ. ფურც.	—	
5$^0/_0$ გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის)

ა) ტფილისიდან ბათუმისაკენ: 1) საფოსტო მატარებელი გადის საღამოს 7 ს. 45 წ. (8 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო გადის დილის 6 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ პარასკეობით) ნაშუადღევის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.); 2) საფოსტო—გადის დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.) 3) სამგზავრო—გადის საღ. 9 ს. 36 წ. (10 ს. და 34 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ).

ბ) ქუთაისიდან ბაქო-ტფილისისაკენ: 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

გ) ბათუმიდან ტფილისამდე და ბაქომდე 1) საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო მატარ. გადის დილის 8 ს. 58 წ, (9 ს. 56 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებელით წასვლა რიონიდან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულუღიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

Дозволено цензурою Тифлисъ, 18 Февраля 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.